საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №79/ნ

2025 წლის 8 სექტემბერი

ქ.თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

ა) პირველი პუნქტით გათვალისწინებული:

ა. ა) დანართი №3 და №4 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ა. ბ) დანართი №6 და №7 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დანართი №9 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

გ) 2^2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი №10 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი